მომსახურების ხელშეკრულება N 237/08

ქ. თბილისი „07“ 03 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „მომსახურების გამწევი”), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ლაშა საღინაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა (ს/კოდი: 204577375, შემდგომში - „მომსახურების მიმღები“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე კვიტაშვილის სახით (ერთობლივად წოდებული როგორც - „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების, მოქმედი კანონმდებლობის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საგამოცდო, მხატვრული, სანახაობრივი, სპორტული ღონისძიების ორგანიზების პროცედურის განსაზღვრისა და მომსახურეობის სახეობების განსაზღვრის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 30 მარტის N31/02-01 ბრძანების და სსიპ - ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის 2019 წლის 04 თებერვლის N71900116271 კორესპონდენციის შესაბამისად, მომსახურების გამწევი უზრუნველყოფს სხვადასხვა კომერციულ მომსახურებას (CPV kodi 79900000), კერძოდ, მომსახურების მიმღებისათვის ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართით განსაზღვრული შესაბამისი პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას, სკოლის მე-6 კლასელთათვის შემაჯამებელი ტესტირების ჩატარების მიზნით, 2019 წლის 17 მარტს 9:00 საათიდან 14:00 საათამდე.

მუხლი 2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

1. მომსახურების ღირებულება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 30 მარტის N31/02-01 ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართის პირველი თავის პირველი მუხლის (1 საათი - 120 ლარი) შესაბამისად ჯამში (ხუთი საათი) შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.

2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გამწევის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის ჩარიცხვის გზით მომსახურების მიმღების მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მომსახურების გამწევის მიერ საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

1. მომსახურების გამწევი ვალდებულია:

ა) გაუწიოს მომსახურების მიმღებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსზღვრული მომსახურება;

ბ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მომსახურების მიმღების საქმიანობა, ისე რომ არ შეუქმნას დაბრკოლება მისი მიზნების შესრულებას;

2. მომსახურების გამწევი უფლებამოსილია მოსთხოვოს მომსახურების მიმღებს შესაბამისი ანაზღაურების გადახდა.

3. მომსახურების მიმღები ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვას სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო და ეკოლოგიური ნორმები;

ბ) არ დაუშვას მომსახურების გაწევის ადგილზე (მასზე განთავსებულ ქონებასთან ერთად) რაიმე სახის ქონებრივი ზიანი და მისი ბრალით ახლადწარმოშობილი ყველა დაზიანება აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით;

გ) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.

4. მომსახურების მიმღები უფლებამოსილია მოსთხოვოს მომსახურების გამწევს მომსახურების გაწევა.

მუხლი 4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მომსახურების გამწევი უფლებამოსილია მომსახურების მიმღებს მოსთხოვოს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0,01 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2. ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მომსახურების მიმღები უფლებამოსილია მოსთხოვოს მომსახურების გამწევს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0,01 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევის დროს, როცა მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისამდე.

2. მხარეები ადასტურებენ, რომ აქვთ კანონმდებლობით ამ ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელი უფლებამოსილება, მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირები უფლებამოსილი არიან დადონ წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 7. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

2. მომსახურების გამწევი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც შემსყიდველს ეცნობება არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.

3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ.

4. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს სასამართლოს გზით.

5. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი), თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მომსახურების გამწევი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ს/კ N204864548
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N1
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიშის სახაზინო კოდი - 708967499

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე

/ლაშა საღინაძე/

მომსახურების მიმღები

სსიპ - ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის
N199 საჯარო სკოლა
ს/კოდი: 204577375

დირექტორი

/ივანე კვიტაშვილი/